საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022-2023 წლის ანგარიში

სასწავლო წელს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ჩატარდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვები, გაანალიზდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულებაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულების ანგარიში 2024 წლის მარტის თვეში წარდგენილი იქნება უნივერსიტეტის სენატში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის განხორციელება/მონიტორინგში, რომელშიც რიგი ღონისძიებებისა და საკითხების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურაა, რიგ შემთხვევებში კი მონიტორინგის - განმახორციელებელი პერიოდულობის დაცვით - სემესტრის ბოლოს ან/და ყოველწლიურად.

ხარისხის მართვის სამსახურის რეკომენდაციები;

- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- პროგრამის შეფასების პროცედურებისა და ინდიკატორების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სისტემური მონიტორინგი;
- პერიოდულად უნივერსიტეტის საგანამნათლებლო პროგრამების შედარება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სხვა ანალოგიური პროგრამებთან, ჩვენი პროგრამების სუსტი მხარეების გამოსავლენად;
- სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების მეთოდების წილის გაზრდა;
- ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა ეტაპობრივად;
- ელექტრონული სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების ჩატარება;
- უნივერსიტეტის პერსონალის ჰორიზონტის პროექტებში ჩართვის ხელშეწყობა;
- აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმების განახლება- ამოქმედება;
- კარიერული განვითარების წახალისება/დაჯილდოების მექანიზმების ამოქმედება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების სწორად დაგეგმილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულებაზე. უნივერსიტეტში მოქმედმა

ძირითადმა საგანმანათლებლო სტრუქტურულმა ერთეულებმა შეადგინეს შესაბამისი ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელმა და მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეტაპობრივად წარმოუდგინეს ანგარიშები, რომლის საფუძველზე განისაზღვრა რეკომედაციების შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობა.

საგანმნათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად დაიწყო მუშაობა საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის. ამ მიმართულებით დიდი სამუშაო გასწია ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა. პროგრამა დაიტვირთა სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდებით, მათ შორის შებრუნებული კლასის მეთოდით. შესაბამისად, მომზადდა სასწავლო რესურსი, რომელიც სწავლების ამ ფორმატის უზრუნველსაყოფადაა საჭირო.

გადამუშავდა საბაკალავრო პროგრამა „საექთო საქმის“ სწავლის შედეგები, შეიცვალა პროგრამის სტურქტურა და სწავლების რუკა, რომელიც ითვალსწინებს თანამედროვე მიდგომებს ამ საკითხში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალი აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.

გადაიხედა თურქეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამას საქართველოში სულ რამდენიმე უნივერსიტეტი ახორციელებს. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს პოტენციალი ითანამშრომლოს თურქეთის უნივერსიტეტებთან ამ პროგრამის განსახორციელბლად. ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება ქართულ ენაზე ლიტერატურის ხელმისწვდომობა.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი GPA დაბალია და ის საშუალოდ მერყეობს

ერთ-ერთ გამოწვევად რჩება აბიტურიენტების სიმცირე. საჭიროა ბაზრის უფრო ეფექტური კვლევის განხორციელება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სამედიცინო განათლების სფეროში კონკურენციაში ვართ ისეთ სასწავლებლებთან როგორებისც არიან თსსუ, თსუ, კავკასიის უნივერსიტეტი და ა.შ. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი მომსახურება გათვლილია სოციალურად მოწყვლად სეგმენტზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ჩატარებული კვლევებისას გამოიკვეთა სტუდენტთა კონტინგენტი, რომელთაც ჰქონდათ განსაკუთრებული ინდივიდუალური საჭიროებები (წოლითი რეჟიმი ორსულობის პერიოდში). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სტუდენტისთვის შეემუშავებინათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ონლაინ რეჟიმში გაეგრძელებინა სასწავლო პროცესი.

დასკვნები

ტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პედაგოგების გამოკითხვის მასალებიდან და

სტუდენტებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა უმრავლესობას არ ექმენება პრობლემა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებაზე, სტუდენტთა შეფასებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ.

აკულტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მხცოვან პედაგოგს თამარ ჯავახიშვილს მიეცა უფლება სტუდენტებთან სალექციო მეცადინეობა ჩაეტარებინა on-ფ

წავლა/სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის პერსონალი ინფორმაციებს როგორც საკუთარ, ასევე სტუდენტების აკადემიური მეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხებს. ამიტომ უნივერსიტეტმა გააქტიურა საქმიანობა აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების მიმართულებით. სტუდენტებს უტარდებათ საუბრები პლაგიარიზმის, აკადემიური მეთილსაინდისიერების საკითხებზე. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება ხამომავლოდ.

ნივერსიტეტის ადამიანური რესურსები საჭიროებს შემდგომ განვითარება/განახლებას; ტუდენტთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად საჭიროა გაიზარდოს კონსულტაციების რაოდენობა, სტუდენტებს შევთავაზოთ სწავლის ინდივიდუალური გეგმები. ჩატარდეს სტუდენტთა დამატებითი გამოკითხვა/ინტერვიურება იმის გამოსავლენად თუ რა ასპექტში უნდა გაძლიერდეს პროგრამა თუ სწავლა/სწავლების პროცესი;

ერიოდულად პროგრამის შედარება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ პროგრამებთან დაწყებულია. ასეთი შედარებები აუცილებელია იმის გასარკვევად თუ რატომ არის ჩვენთან აბიტურიენტების ნაკლები დაინტერესება, რამდენად განსხვავებულია სხვა უნივერსიტეტებისგან ის სერვისები, რომლებსაც ჩვენ ვთავაზობთ სტუდენტებს.

ასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოყენება რჩება ერთ-ერთ გამოწვევად. საჭიროა ელექტრონული რესურსების (კომპიუტერები, პროექტორები, ტელევიზორები). უნუვერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული საგანმათლებლო რესურსები და ის მუდმივად ივსება და ვითარდება. უნივერსიტეტს აქვს წვდომა ელექტრონულ ბაზებთან.

ნივერსიტეტი სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და ხელს უწყობს ამ ახალგაზრდების სრულყოფილ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სიქოლოგიის საგანამანათლებლო პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გახსნა. ლაბორატორია აღიჭურვა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაამუსავონ მონაცემთა ბაზები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმოს საკონსულტაციო სახის შეხვედრები ფაკულტეტების ადმინისტრაციულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განმეორებით უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის მართვის ელექტრონული სისტემაზე წვდომის ტრენინგების ჩატარებას. ტრენინგების რაოდენობა განისაზღვროს საჭიროებების შესაბამისად;
- გააქტიურდეს მუშაობა საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგარმაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ/დამხმარე პერსონალთან პროგრამების შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით;
- დაისახოს ღონისძიებები აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულის გასაზრდელად განიხილონ აღნიშნული საკითხი და შეიმუშავონ რეკომენდაციები;

- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთ-ერთ შეფასების მეთოდს წარმოადგენს პრეზენტაცია. შესწავლილ იქნეს დამატებით თუ რამდენად იძლევა ეს ფორმატი სასწავლო კურსების თავისებურების გათვალისწინებით შედეგზე გასვლის საშუალებას;
- შესწავლილ იქნეს დასკვნითი გამოცდის ფორმატი სასწავლო კურსების მიხედვით რამდენად იძლევა სტუდენტის ცოდნის ობიექტურად გაზომვის საშუალებას. ამ მიმართულებით ეთხოვოს ფაკლუტეტის დეკნებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს გამართოს შეხვედრები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან და უკუკავშირის მასალები წარმოადგინონ ანგარიშის სახით; აღნიშნული საკითხები განიხილონ ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე;
- ეთხოვოს პროგრამის ხელმძღვანელებს ჩაატარონ ბაზარზე არსებული სიტუაციის დეტალური კვლევა იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებსაც ახორციელებს ჩვენი უნივერსიტეტი;
- საჭიროა კომპიუტერების განახლებაზე ზრუნვა, პროექტორების რაოდენობის გაზრდა აუდიტორიებში.
- საჭიროა გაგრძელდეს საგანამანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად ახალი ლაბორატორიების გახსნა/აღჭურვაზე ზრუნვა.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ახალი კითხვარის შემუშავებაზე. საჭიროა პერსონალმა ზუსტად იცოდეს თუ რა მოლოდინები გააჩნია უნივერსიტეტს მასთან მიმართებით, საჭიროა პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენისთვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი შეფასების მოდელის შექმნა და პერიოდული განვითარება; ასევე პერსონალის მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების ზრდაზე ზრუნვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელშიც რეკომენდაციები განაწილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. პროექტი გადაეგზავნა რექტორს და ადმინისტრაციული სტრუქტურის ხელმძღვანელებს. ,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ ანგარიშის მომზადება და მტკიცებულებების წარმოდგენა დასრულდა

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
გრიგოლ სულაბერიძე